

შპს “იტა”

ფინანსური ანგარიშგება,
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	3
მოგება-ზარალის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის.....	6
1. ზოგადი ინფორმაცია.....	7
2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	7
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	13
4. ძირითადი საშუალებები	14
5. მარაგები.....	15
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15
7. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	15
8. კაპიტალი.....	15
9. მიღებული გრძელვადიანი სესხები.....	15
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16
11. ამონაგები.....	16
12. რეალიზაციის თვითღირებულება.....	16
13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი.....	16
14. წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	17
15. მოგების გადასახადი	17
16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	17
17. პერიოდის შემდგომი მოვლენები	18

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.დეკ.24	31.დეკ.23
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	185,075	145,768
არამატერიალური აქტივები		11,618	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		196,693	145,768
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	5	3,505,409	2,899,338
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	829,967	332,652
საგადასახადო აქტივები		118,021	34,623
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	871,079	1,733,878
სულ მიმდინარე აქტივები		5,324,476	5,000,491
სულ აქტივები		5,521,169	5,146,259
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება	8	4,500,384	4,184,445
სულ კაპიტალი		4,500,384	4,184,445
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	9	449,283	417,488
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		449,283	417,488
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	571,502	544,326
სულ მიმდინარე ვალდებულებები		571,502	544,326
სულ ვალდებულებები		1,020,785	961,814
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		5,521,169	5,146,259

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის დამოუკიდებელი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 29 სექტემბერს.

დირექტორი

ალექსანდრე დევდარიანი

მოგება-ზარალის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	11	30,897,588	9,269,447
რელიზაციის თვითღირებულება	12	(28,783,759)	(7,274,000)
საერთო მოგება		2,113,829	1,995,447
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(1,844,068)	(1,389,437)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		269,761	606,010
საპროცენტო შემოსავლები		95,580	39,713
საპროცენტო ხარჯები		(47,301)	(45,868)
კურსთაშორის მოგება(ზარალი)		(51,403)	(31,473)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი(ხარჯი)	14	60,987	157,617
მოგება დაბეგვრამდე		327,624	725,998
მოგების გადასახადის ხარჯი	15	(1,753)	(16,254)
წლის წმინდა მოგება		325,871	709,744

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის დამოუკიდებელი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 29 სექტემბერს.

დირექტორი

ალექსანდრე დევდარიანი

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	8	-	3,566,806	3 566 806
წლის შედეგი		-	709,744	709,744
გამოცხადებული დივიდენდი		-	(92,105)	(92,105)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	8	-	4,184,445	4,184,445
წლის შედეგი		-	325,871	325,871
გამოცხადებული დივიდენდი		-	(9,932)	(9,932)
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		-	4,500,384	4,500,384

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის დამოუკიდებელი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 29 სექტემბერს.

დირექტორი

ალექსანდრე დევდარიანი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024 წელი	2023 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		327,624	725,998
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	4	32,069	20,415
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	4	-	40,971
ზარალი/(მოგება) სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან		51,403	(31,473)
საპროცენტი ხარჯი	9	47,301	20,000
ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება	6	(497,315)	(14,277)
მარაგების (ზრდა)/შემცირება	5	(606,071)	384,878
საგადასახადო აქტივების (ზრდა)/შემცირება		(83,398)	99,420
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	10	27,176	(421,720)
სულ ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში		(701,212)	824,212
გადახდილი მოგების გადასახადი	15	(1,753)	(16,254)
საოპერაციო საქმიანობიდან გენერირებული წმინდა ფული		(702,965)	807,958
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალების შეძენა	4	(70,815)	(75,863)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(12,178)	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფული		(82,993)	(75,863)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
სესხების წმინდა ცვლილება		(15,506)	(1,260)
გადახდილი დივიდენდები	15	(9,932)	(92,105)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული ფული		(25,438)	(93,365)
საკურსო სხვაობის ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		(51,403)	31,473
ფულისა და ფულის ეკვივალენტების ზრდა/(შემცირება)		(862,799)	670,203
წლის დასაწყისში		1,733,878	1,063,675
ზრდა (შემცირება)		(862,799)	670,203
წლის ბოლოს		871,079	1,733,878

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის დამოუკიდებელი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 29 სექტემბერს.

დირექტორი

ალექსანდრე დევდარიანი

შპს „იტა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარებში

1. ზოგადი ინფორმაცია

a) ორგანიზაცია და საქმიანობა

შპს „იტა“ („შემდგომში – კომპანია“), საიდენტიფიკაციო ნომრით 405471038 დარეგისტრირებულია 2021 წლის 5 ივლისს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, მარშალ ეგლოვანის გამზირი ქ. N54.

2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს: „იტა“-ს მფლობელთა გადანაწილება იყო შემდეგი

მესაკუთრე	მოქალაქეობა	წილი
ქეთევან ხელაშვილი, პ/ნ 01026011222	საქართველო	35.40%
დავით ხეჩიკაშვილი, პ/ნ 01019068269	საქართველო	35.40%
ლევან გვაზავა, პ/ნ 01024079165	საქართველო	8.35%
ლუკა თამაზაშვილი, პ/ნ 01008050131	საქართველო	8.35%
ნიკოლაი ფრეიტაკ, პ/ნ 01701137357	ორმაგი მოქალაქე: საქართველო/რუსეთის ფედერაცია	6.25%
სნეჟანა კოტოვა, პ/ნ 0140114059	ორმაგი მოქალაქე: საქართველო/რუსეთის ფედერაცია	6.25%

საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების მიხედვით, კომპანია მესამე კატეგორიის საწარმოს წარმოადგენს.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ავტონაწილებითა და აქსესუარებით ვაჭრობა (საცალო), ავტონაწილებითა და აქსესუარებით ვაჭრობა (საბითუმო), ავტომობილების აკუმულატორებით ვაჭრობა, ავტომობილების საბურავებითა და დისკებით ვაჭრობა, ავტომობილების სათადარიგო ნაწილებით ვაჭრობა, ავტომობილების ზეთებით და ფილტრებით ვაჭრობა.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დირექტორის პოზიცია დაკავებული ჰქონდა ალექსანდრე დედარიანს, პ/ნ 01030033346.

b) საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, კომპანია დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნის ბაზრებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზრები ჯერ კიდევ ვითარდება და განიცდის სხვადასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს, რომლებიც სხვა სამართლებრივ და ფისკალურ დაბრკოლებებთან ერთად, სირთულეებს უქმნის საქართველოს ტერიტორიაზე მომუშავე კომპანიებს. მოცემული ფინანსური ანგარიშგება ასახავს კომპანიის ოპერაციებსა და მის ფინანსურ მდგომარეობაზე საქართველოს ბიზნეს გარემოს შეფასებას ხელმძღვანელობის მიერ. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისაგან.

2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. წარდგენის საფუძველი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

მოცემული ანგარიშგება არ არის კომპანიის მიერ მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება.

ფინანსური ინსტრუმენტები

1) თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

შპს „იტა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარებში

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსური აქტივს ან ფინანსური ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (ანუ გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

2) ფინანსური აქტივების / ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური აქტივების/ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური აქტივი/ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი აქტივის/ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი აქტივის/ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, დეპოზიტებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „მოგება/ (ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2023 და 2024 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

შპს „იტა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარებში

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური ვალუტის კურსი

დოლარი	ევრო
2.8068	2.9306
2.6894	2.9753

გაცვლითი კურსი 31 დეკემბერი 2024

გაცვლითი კურსი 31 დეკემბერი 2023

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს. საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. თუ არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით ასახული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული იქნება ზარალი, ზარალის მოცულობა აისახება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე მოცულობას

შორის (სამომავლო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ადგილი არ ჰქონია), რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ი. იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გაანგარიშებულია თავდაპირველად აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება შესაძლებელია, რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალის აღიარება უნდა მოხდეს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა მცირდება და შემცირება შესაძლოა

ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღრიცხვის შემდგომ მოვლენას. ხდება წინასწარ აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი კომპენსირება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პირობით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის ამორტიზებულ ღირებულებას კომპენსირების დღეს.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. ამ მეთოდის არსი მდგომარეობს იმაში, რომ რეალიზებული (ჩამოწერილი) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების განსაზღვრა ხდება გასაშუალოებული ფასების მიხედვით რეალიზაციის ან ჩამოწერის ყოველი კონკრეტული მომენტისათვის.

ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები შესაბამისად.

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

შპს „იტა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარებში

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი ხარჯები

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ცვეთა

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
მანქანა-დანადგარები	5 – 15 წელი
ოფისის აღჭურვილობა	2 – 10 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5 – 10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	10 – 15 წელი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის საწარმომ განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, საწარმო აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, საწარმო ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში/ზარალში.

საწარმო ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები ან შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, საწარმო აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი,

თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სესხები

სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. საპროცენტო ხარჯი ჩართულია ფინანსურ ხარჯში.

სესხები თავდაპირველად საოპერაციო ფასით აისახება (ანუ კრედიტორისათვის გადასახდელი თანხის ახლანდელი ღირებულება, საოპერაციო ხარჯების ჩათვლით). სესხები შემდგომში ამორტიზირებული ხარჯით აისახება. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და აისახება ფინანსურ ხარჯებში. სესხები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუკი კომპანიას არ გააჩნია უპირობო უფლება აღნიშნული ვალდებულების გასტუმრების გადავადების შესახებ, ანგარიშგების თარიღიდან არანაკლებ 12 თვის ვადით.

გადასახადები

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავლიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და

გაცხადდება, როგორც სხვა გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშგების სხვა არასაოპერაციო ხარჯებში.

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. მიმდინარე გადასახადი ანგარიშდება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება მოგებისგან, რომელიც წარდგენილია სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, რადგან აღნიშნული არ მოიცავს ისეთ შემოსავლებსა და ხარჯებს, რომლებიც ამ პერიოდში არ არის დასაბეგრი ან გამოსაქვითი. კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს

შპს „იტა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარებში

საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები. საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

საკუთარი კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა კომპანიის წესდებით განისაზღვრება. კომპანიის წესდებაში ცვლილებების შეტანა (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, საკუთრების უფლების ცვლილება), მხოლოდ კომპანიის მესაკუთრეების გადაწყვეტილებით ხდება.

შემოსავალი

საწარმო ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები. საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს, ხოლო როდესაც მყიდველს გააჩნია საქონლის უკან დაბრუნების უფლება ან საწარმოს მიერ კონკრეტული საქონლის გაყიდვიდან ამონაგების მიღება დამოკიდებულია მყიდველის მიერ ამ საქონლის გაყიდვაზე, კომპანია გადაავადებს შემოსავლის აღიარებას იმ დრომდე, სანამ საქონელი გაიყიდება ან საქონლის დაბრუნების ვადა არ ამოიწურება.

მომსახურების გაწევა

საწარმო ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში.

ხარჯების აღიარება

კომპანია ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

შპს „იტა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარებში

4. ძირითადი საშუალებები

	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღწურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
თვითღირებულება:						
31 დეკემბერი 2022	3,909	19,214	21,392	105,276	-	149,791
შემოსვლები	203	15,537	1,347	58,775	-	75,863
გასვლები	-	-	-	(40,971)	-	(40,971)
31 დეკემბერი 2023	4,112	34,751	22,739	123,081	-	184,683
შემოსვლები	41,889	20,326	1,478	-	10,700	74,393
გასვლები	-	(3,578)	-	-	-	(3,578)
31 დეკემბერი 2024	46,001	51,499	24,217	123,081	10,700	255,498
აკუმულირებული ცვეთა:						
31 დეკემბერი 2022	(392)	(1,827)	(2,161)	(14,120)		(18,500)
წლიური ცვეთა	(818)	(5,669)	(4,392)	(18,026)		(28,905)
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	8,490		8,490
31 დეკემბერი 2023	(1,210)	(7,497)	(6,553)	(23,656)		(38,915)
წლიური ცვეთა	(1,764)	(8,671)	(4,672)	(17,617)	(157)	(32,881)
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	1,374	-	-	-	1,374
31 დეკემბერი 2023	(2,973)	(14,794)	(11,224)	(41,274)	(157)	(70,422)
წმინდა საბალანსო ღირებულება:						
31 დეკემბერი 2022	3,518	17,386	19,231	91,156	-	131,291
31 დეკემბერი 2023	2,902	27,254	16,187	99,424	-	145,768
31 დეკემბერი 2024	43,027	36,705	12,993	81,807	10,543	185,075

შპს „იტა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარებში

5. მარაგები

კომპანიას გააჩნია შემდეგი სახის მარაგები:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სარეალიზაციო საქონელი	3,500,497	2,893,584
ნედლეული	4,911	5,754
სულ მარაგები	3,505,409	2,899,338

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	829,967	332,652
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	-	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	829,967	332,652

7. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფულადი სახსრები სალაროში	2,056	1 755
ეროვნული ვალუტა ბანკში	869,021	1,732,053
უცხოური ვალუტა ბანკში	3	70
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	871,079	1,733,878

ფული ბანკში უცხოურ და ეროვნულ ვალუტაში განთავსებულია მიმდინარე ანგარიშებზე, რომლებიც წარმოადგენს უპროცენტო ანგარიშებს.

8. კაპიტალი

საანგარიშგებო პერიოდში არ ყოფილა ცვლილებები სადამფუძნებლო კაპიტალში, აღნიშნული კაპიტალი განსაზღვრულია დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით და შევსებულია მფობელთა შენატანებით.

დამფუძნებელთა კრების გადაწყვეტილებით კომპანიამ 2024 წლის განმავლობაში დივიდენდად გამოაცხადა და გასცა 9,932 ლარი (2023: 92,105).

9. მიღებული გრძელვადიანი სესხები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფიზიკური პირებისგან მიღებული სესხები	280,680	268,940
იურიდიული პირებისგან მიღებული სესხები	100,000	100,000
გადასახდელი პროცენტი	68,603	48,548
სულ მიღებული გრძელვადიანი სესხები	449,283	417,488

შპს „იტა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარებში

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო ვალდებულებები	545,083	514,602
გადასახდელი ხელფასები	26,169	24,260
მიღებული ავანსები	250	5,464
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	571,502	544,326

სავაჭრო ვალდებულება წარმოადგენს ვალდებულებებს მიმწოდებლების მიმართ საქონლის მიწოდებაზე.

11. ამონაგები

მარაგების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება გაყიდვის წერტილში, გამომდინარე იქიდან, რომ გაყიდვის ოპერაცია ხორციელდება სავაჭრო ობიექტებში და კომპანიის მიერ შესასრულებელი ვალდებულება სრულდება საქონლის მომხმარებლებზე „გაყიდვის წერტილში“ გადაცემის მომენტში ფულადი სახსრების მიღების სანაცვლოდ.

	2024	2023
შემოსავალი დისტრიბუციიდან	10,698,191	8,830,790
შემოსავალი ჰიპერმარკეტიდან	507,692	438,657
შემოსავალი რექესპორტიდან	19,691,705	-
სხვა შემოსავალი	-	152
სულ ამონაგები	30,897,588	9,269,447

12. რეალიზაციის თვითღირებულება

	2024	2023
ავტონაწილების თვითღირებულება	(28,649,216)	(7,176,218)
ძირითადი მასალების დანახარჯები	(81,876)	(71,826)
რეკლამის ხარჯები	(51,463)	(24,149)
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	(1,204)	(1,807)
სულ რეალიზაციის თვითღირებულება	(28,783,759)	(7,274,000)

13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	(1,097,057)	(861,192)
საიჯარო ქირა	(298,896)	(231,980)
საბანკო მომსახურება	(63,017)	(19,573)
საკონსულტაციო ხარჯები	(51,245)	(40,891)
სამივლინებო ხარჯები	(49,111)	(29,926)
ცვეთა და ამორტიზაცია	(33,441)	(28,905)
რემონტი	(26,692)	(16,549)
კომუნალური ხარჯები	(18,303)	(14,547)
კომუნიკაციის ხარჯები	(17,534)	(9,208)
სხვა საგადასახადო ხარჯი	(16,627)	(38,027)
სოციალური დანარიცხები	(14,356)	(10,288)
დაზღვევა	(11,971)	(14,273)
კომპიუტერის ხარჯები	(1,968)	(750)
საოფისე ინვენტარი	(1,288)	(2,650)
სხვა საერთო ხარჯი	(142,562)	(70,680)
სულ ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	(1,844,068)	(1,389,437)

შპს „იტა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარებში

14. წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)

	2024	2023
არასაოპერაციო შემოსავალი	155,471	347,204
არასაოპერაციო ხარჯი	(94,484)	(189,587)
სულ არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა	60,987	157,617

15. მოგების გადასახადი

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა მნიშვნელოვანი ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის რეფორმის შესახებ კანონპროექტთან დაკავშირებით (ასევე ცნობილი როგორც კორპორატიული დაბეგვრის ესტონური მოდელი), რომელიც ძირითადად გადააქვს დაბეგვრის მომენტს დასაბეგრი მოგების მიღების მომენტიდან. იმ მომენტამდე, როდესაც ისინი ნაწილდებიან. კანონი ძალაშია 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ დაწყებული საგადასახადო პერიოდებიდან. იმის გათვალისწინებით, რომ ცვლილება საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა ანგარიშგების თარიღამდე, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები კანონის მოქმედების შემდეგ არ იქნება აღიარებული. საშემოსავლო გადასახადის პირობითი ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება მოგების განაწილებით, არ იქნება აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა დღგ-სთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში. გადაწყვეტილების მიხედვით, მყიდველისგან წინასწარ მიღებული თანხის ოდენობა უნდა დაექვემდებაროს დღგ-ს. კანონი ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საგადასახადო პერიოდებიდან.

მიმდინარე და წინა საანგარიშო წლებში კომპანიამ გაანაწილა დივიდენდები და გადაიხდა საშემოსავლო გადასახადი, რომელიც შეადგინა შესაბამისად 1,753 და 16,254 ლარი.

16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 2024 და 2023 წლის განმავლობაში შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგნაირად:

ტრანზაქციები	2024	2023
მფლობელი		
მოგების განაწილება	9,932	92,105
მშობელი საწარმო		
საქონლის რეალიზაცია	747	2,731
მიღებული თანხა	423	3,421
ძირითადი საშუალების შესყიდვა	720	-
ხარჯის ანარიცხი	8,851	-
სხვა	615	-
მშობელი საწარმოს მფლობელები		
საპროცენტო ხარჯი	27,246	25,868
პროცენტის დაფარვა	25,912	24,575
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები		
საქონლის რეალიზაცია	397,207	-
მიღებული თანხა	333,118	256,113
რეექსპორტი	18,616,842	162,605
ავანსი	1,408,114	-
ურთიერთგადაფარვა	1,408,114	-
გადახდილი თანხა	19,102,891	-
სხვა	81,675	4,446
სულ		

შპს „იტა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარებში

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კოპანიას ჰქონდა დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგი გადაუხდელი ნაშთები:

გადაუხდელი ნაშთები	31.12.2024	31.12.2023
მშობელი საწარმო		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	324	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(110,185)	(100,000)
მშობელი საწარმოს მფლობელები		
მიღებული სესხები	(280,680)	(268,940)
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	70,082	5,993
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	(162,605)
გადახდილი ავანსები	1,745,402	-

17. პერიოდის შემდგომი მოვლენები

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 29 სექტემბერს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე არ მომხდარა რაიმე სახის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას იქონიებდა ფინანსურ ანგარიშგებაზე.